წელიწადი მეორე
ფასი 7 კაპ.
კვირა, 31 იანვარი 1916 წ.
№ 24

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების-ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე — **საქართველო** — წელიწადი მეორე

უპრემიოდ: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

პრემიით: წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური **დიდი რუქა.**

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებ. ეღირ. 1 მ. 30 კ., რუქა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)

ხელის მოწერა შეიძლება: **ქუთაისში:** 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) **ი. კვიცარიძის** მაღაზიაში. **ბათომში:** წიგნის მაღაზია „ცოდნაში“. **თბილისში:** ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში **ვასილ ედილაშვილთან.** „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში **ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან.** ხარფუხის კლუბის მამასახლის **ალექ. ლორთქიფანიძესთან** და სასტუმრო „უნივერსალში“, წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში **ს. მერკვილაძესთან. თელავში: ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან. სიღნაღში: ნიკო ახმეტელაშვილთან. ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან. ქვემო ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან. ზუგდიდში: კატო კედიასთან. მოსკოვში: გრიგოლ ვეშაპელთან. გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან. ხაშურში: ტრიფონ ჯაფარიძესთან. ჭკადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან. დუშეთში: მღ. კონსტ. კავკასიძესთან. ს. ფშავში: ევგ. დალაქიშვილთან. ს. შილდაში: ვასილ კევლიშვილთან. ს. ენისელში: ალ. ჯორჯაძესთან. კახში: ზაქარია ედილაშვილთან. მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მერანი“ უფასოდ დაურიგდებათ.

კვირას, 31 იანვარს

„ახალ კლუბში“

კავკასიის მაჰმადიან ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება ჰმართავს

საქველმოქმედო საღამოს

საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად ფრიად საგულისხმო პროგრამით.

„საღამოზე“ შესასვლელი ბილეთები ღირს **თერთმეტი აბაზი.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება კლუბის შესავალთან.

(2—44—2)

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.

უაღრესი სიფაქიზე. — ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—14—13)

სახალხო სახლში

21 თებერვალს 1916 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

ბაიყუში

ფარსი 2 მოქმ. ავ. ცაგარლისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი მარგველაშვილი, ბ-ნნი ნ. გოცირიძე, გ. იმედელი, გ. ჯაბაური, რამაზაშვილი და სხვანი.

II — რეჟ. **გოცირიძე.**

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობენ ქ-ნი ვერა ჯაჯანაშვილი; ბ-ნნი ვ. დილმელაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ძიმისტარაშვილი, ვახ. ჯაბადარი და სხვანი.

დასასრულ გაიმართება ც ე კ ვ ა.

დასაწყისი შუადღას 12 საათზე. ფასი 40 კ.-დან 2 მანეთამდე.

გამგე **კნ. ჯავახიშვილი.** ადმინისტრატორი **გიორგი ჩუბინაშვილი**

ბილეთები იყიდება სახაიე „ძმურ ნუგეშში“

(5—42—2)

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

კბილის ექიმი

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

„ახალი კლუბი“

ერთი კვირის პროგრამა 1—7 იანვრამდე.

ორშაბათი.	როგორც დიდი უქმის წინა დღე არაფერი გასართობები არ იქნება.
სამშაბათი.	ოპერეტკა ქართულ ენაზე „რიგოლეტო“, შესასვლელი ფასი 1—50 კ. 40 კ.
ოთხშაბათი.	კინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
ხუთშაბათი.	ქართული წარმოდგენა, დასწრება უფასოა, დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.
პარასკევი.	კინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
შაბათი.	სიმფონიური კონცერტი ი. ე. მალამედის ლოტბაროზით; მონაწილეობას მიიღებენ: ცნობილი პრიმადონა იტალიურ ოპერისა კარმენ-სოლიარი (სოპრანო) და ყოფილი არტისტი საიმპერატორო თეატრისა რ. ფ. ბერნარდი (ბარიტონი) კონცერტზე შესასვლელი ფასი: 50 კ.—20 კ.
კვირა.	ორკესტრი.

დასაწყისი კონცერტისა საღამოს 9 ს. წარმოდგენების, ოპერეტკების და კინემატოგრაფისა, საღამოს 8 საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1 მ. და 5 კ. მანდილოსნებისა და სტუდენტებისა (ფორმაში) 65 კ.

განცხადება

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს **„ახალი კლუბის“** წევრთ, რომ 2 თებერვალს დილის 12 საათზე დანიშნულია კლუბის შენობაში

წლიური ჩვეულებრივი წევრთა კრება

განსახილველია შემდეგი საქმეები: 1) მამასახლისთა საბჭოს 1915 წ. მოქმედების ანგარიში, 2) ამა 1916 წ. ხარჯთაღრიცხვა დ 3) მიმდინარე კითხვები;

არჩევნები: 1) მამასახლისთა საბჭოსი, 2) სარევიზიო კომისიისა, 3) წევრთა და 4) მუდმივ მოსიარულეთა.

2—1

აბრეშუმის თესლი

უკვე შემოზიდულია რუსეთში მაღალ ხარისხის

აბრეშუმის თესლი

საფრანგეთიდან და ამ ორი-სამი კვირის განმავლობაში მიღებულ იქნება თბილისში. ვისაც სურს შეიძინოს ეს თესლი, ვთხოვ მიჰმართოს **გ. ბ. გვაზავას** (განოვსკაია 3) წინასწარ პირობების შესაკვრელად.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ **ბადიჯ კოსსერი.**

1—1

კვირას, 31 იანვარს დილის $12^1/_2$ საათზე „ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი ს“ დარბაზში დანიშნულია მომხმარებელ საზოგადოების

„მეურნე“-ს საგანგებო

საზოგადო კრება

27 დეკემბერს დანიშნულ ვერ შემდგარ კრების ნაცვლად.

განსახილველი საგნებია: 1. გამგეობის მოხსენება თავის მოღვაწეობის, კრედიტის საჭიროების და მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირში შესვლის ან დაარსების შესახებ; 2. 1916 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა; 3. ინსტრუქციები გამგეობას და სარევიზიო კომისიას; 4. საზოგადოების სავაჭროსთვის ადგილის არჩევა; 5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და სხვა მიმდინარე საკითხები.

(1—38—1)

ისადილეთ გემრიელად!

ისადილეთ გემრიელად!

ძველ სემინარიის შენობაში სასტუმრო

„ოსტერია“

უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით

სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს **ევროპიულ დ კავკასიურ**

სადილ ვახშმებს

მწვადები ყოველგვარი. საციფი, ხარშო იმერული

საუცხოვოდ და სუფთად მორთული **კაბინეტები**

ბილიარდები, ნარდი

პატივისცემით { ი. ს. აბაშიძე
ვ. ა. თოფურიძე

(წ.—35—6)

ივახშმეთ გემრიელად!

ივახშმეთ გემრიელად!

ომის ამბები

ომის დეპეშები

29 იანვარი.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში მიტავის შარაგზისა და მდ. დვინის შუა მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. რუსთა არტილერიამ ბევრს ადგილას გაჰრეკა მტრის მუშები. იქსკიულის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეჰნიშნეს ორი აფეთქება გერმანელთა ბატარეებზე. ილლუქსტის რაიონში რუსებმა ნაღმი ააფეთქეს და თვით აფეთქებული ადგილიც ჩაიგდეს ხელში. ლიურაჩის სამხრეთ რაიონში რუსთა რაზმებმა მარჯვედ გაითარეშეს და მდ. ნემანზე ჩაჰშალეს გერმანელთა მიერ გადაკიდული ხიდი. ჩემირზინთან არტილერიისა და ქვეითა ჯარის შეთანხმებული იერიშით მოგერებულ იქმნა მტრის ორგზის იერიში, რომელიც მათ მოიტანეს ძლიერი, ქარიშხალისებური საარტილერიო სროლის შემდეგ. სამხრეთით რუსთა რაზმებმა მარჯვედ გაითარეშეს. ცებხოვის რაიონში მტერი შეეცადა რუსთა მიერ დაჭერილი მაღლობი დაეჭირათ, ძლიერი ძალები და საგრძნობი არტილერია უწყობდათ ხელს, მაგრამ მაღლობი მაინც რუსთა ხელში დარჩა.

კავკასიის ფრონტი. რუსები წინსვლას განაგრძობენ. ოსმალთა ცდილობა, რომ იერიშით წამოსულიყვნენ, ყოველთვის შეჩერებულ იქმნა რუსთა ცეცხლის მიერ.

———

პარიჟი, 28 იანვარი. არტუაში საარტილერიო სროლა გრძელდება „119“ მაღლობისა და ტელიუსის გზის შუა. შელამებისას გერმანელებს გააფთრებული იერიშები მოჰქონდათ ჩვენს პოზიციებზე ნევილთან, მაგრამ მოგერიებულ იქმნენ. მათ მხოლოდ ერთს ადგილას მოიკიდეს ფეხი, რომელიც გუშინ წავართვით. სომის სამხრეთით მცირე შეტაკებათა შემდეგ 50 კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ, დავლად დაგვრჩა 2 ტყვიის მფრქვეველი და ერთიც სწრაფმსროლი იარაღი.

ჰავრი, 28 იანვარი. საარტილერიო სროლამ რაოდენადმე მძაფრი ხასიათი მიიღო დიქსმიუდეს სექტორში. სტეენსტრეტთან ყუმბარებით ბრძოლა სწარმოებს.

რომი, 28 იანვარი. ჩევედალის რაიონში, ღამით 27 იანვარს, მტერი ძლიერი თოფის სროლით არ გვისვენებდა ვაპანაჩელეკის პოზიციებზე. ლაგარინოს ღელეში 28 იანვარს მორტავის ჩრდილოეთით მოვიგერიეთ მტრის ორი იერიში. იზონცოზე წვიმა და ბურუსი ხელს უშლიდა არტილერიას.

ლონდონი, 28 იანვარი. 18 ჰაეროპლანმა მარჯვედ გაითარეშა ტერმონდისკენ. ფუკე-ვილესის რაიონში მტრის არტილერიამ ნაკლები მოქმედება გამოიჩინა. ქივანშის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს, მაგრამ არავითარი ვნება არ მიუყენებია. ბურგნის სამხრეთით ყუმბარებით სროლას განაგრძობენ. სენ-ჟიულიენის პოზიციებზე მტრის ბატარეა ჩვენსას პასუხს აძლევდა ძლიერი ცეცხლით.

პარიჟი, 28 იანვარი. ყველა პოლიტიკურ ჯგუფთა თათბირზე უარყოფილი იქმნა სოციალისტთა ორი წინადადება საპარლამენტო კონტროლის შესახებ. პირველი ეხებოდა ცნობების მოკრებას სამხედრო მოქმედების რაიონში და ზურგს უკან, რათა ეროვნულ თავდაცვისთვის მეტი ღონისძიება იქმნეს მიღებულიო, ხოლო მეორე წინადადება ეხებოდა პოლიტიკურ ჯგუფთა დელეგატებისა და სენატის შეთანხმებული მოქმედება, რათა ეროვნულ თავდაცვისთვის ერდათ ილვაწონ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთ. ასპარეზი.

წყალქვეშა სევასტოპოლში.

სევასტოპოლიდან „ბირჟ. ვედ“-ს ატყობინებენ: 22 იანვარს რუსების ორი ნაღმოსანი სადარაჯოთ დასცურავდნენ ქვანახშირის მიდამოებში. მათზე იერიში მიიტანა გერმანელების წყალქვეშა ნავმა. ნასროლი ნაღმი გემებს ასცდა. ნაღმოსნებმაც სროლა აუტეხეს. წყალქვეშამ წყალში ჩაიყურყუმელა და მიეფარა.

რიგის მიდამოებში.

დასავლეთ დვინის მიდამოებში გერმანელების ნასროლი ყუმბარები სპილენძისა არ არის; ეტყობა, სხვა რამ ლითონისას აკეთებენ რადგანაც სპილენძი აღარა ჰყოფნით.

მოპირდაპირის ჰაეროპლანები რიგისაკენ მიემართებოდა. რუსებმა სროლა აუტეხეს და უკან გააბრუნეს.

ვილნოში.

ვილნოში გერმანელებს მოუწყვიათ ცეპელინების სადგური და მათი შესაკეთებელი სახელოსნოები. ამას წინად ვილნოში გაჩენილ ცეცხლის გამო, ზარალის ასანაზღაურებლად ქალაქზე 75 ათასი მარკა მახტა დაუდვიათ.

„რუსკი ვრაჩი“ (№ 51—1915 წ.) ვკითხულობთ:

„რუსეთის წითელ ჯვრის რწმუნებულს ბ-ნ მარკოზოვს, რომელიც სამხედრო ტყვეების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მომხდარ თათბირს დასწრებია სტოკჰოლმში, მოხსენება წარუდგენია წითელ ჯვრის მთავარ გამგეობისათვის. თვის მოხსენებაში ბ-ნი მარკოზოვი სწერს, თურმე რომ **გერმანიაში რუს ექიმებს არ აკარებენ ავადმყოფს ჯარის კაცებს და ფერშლის როლს ასრულებინებენო.** გერმანიის მთავარ შტაბიდან, სწერს ბ-ნი მარკოზოვი, **პირობა მივიღე გაანთავისუფლონ უმალ გერმანიიდან 90 ექიმი, 30 აფთექარი და 90 მოხელე სამხედრო სასანიტარო უწყებისა, თუ რუსეთი გაანთავისუფლებს 25 გერმანელ ექიმს, რომელნიც ტყვეთ არიან რუსეთში,** და რომელთა სია უკვე წარმოადგინა გერმანიამ. ამ საერთო საკითხის გადაწყვეტამდე კი გერმანელები დაჰპირებიან გასცვალონ 7 ტყვე რუსის ექიმი 7 ტყვე გერმანელ ექიმში ეხლავ. საერთოდ, ბ. მარკოზოვის სიტყვით, ტყვეების გაცვლის თაობა-

ზე გერმანელები წინააღმდეგნი არიან „თავი თავში“ გასცვალონ. მათი აზრით, ტყვეთა გაცვლის დროს საჭიროა იმ პრინციპით იხელმძღვანელონ თუ რა ღირებულობას წარმოადგენენ გასაცვლელნი ტყვეები, მიუხედავათ მათი რიცხვისა.

ინგლისის ბლოკადა.

ინგლისური პრესა „ტაიმსის“ მეთაურობით დიდად მოსთქვამს, რომ ინგლისელთა ბლოკადა საბოლოოდ სრულიად უაზრო გამოდგა, ვინაიდან გერმანელებს ყოველისფერი კონტრაბანდად შეაქვთ, რაც კი რამ ეჭირვებათო. ამ მხრივ ნეიტრალი სახელმწიფონი დიდად ეხმარებიან, განსაკუთრებით ჰოლანდია, დანია და შვეცია. სტატისტიკური ცნობებით გერმანეთს საჭირო მასალა ერთი ორად მეტი შეუტანია, ვიდრე ომამდე. ამის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა ინგლისში.

პუანკარეს გამარჯვება.

Berl Tag. b. დაიბეჭდა წერილი საფრანგეთის პრეზიდენტ პუანკარეს შესახებ, თუ რას მოასწავებდა მისი გამარჯვება 1913 წ., როცა ფალიერის მოადგილედ აირჩიეს პრეზიდენტად. „პუანკარეს გამარჯვება პამზე (მეორე კანდიდატი გახლდათ) პრეზიდენტის არჩევნების გამო 18 იანვ. 1913 წ. ნიშნავდა მილიტარისტულ საფრანგეთის გამარჯვებას. თვით პუანკარე გახლავთ მთავარი დამნაშავე, რომ ომში ჩაერია საფრანგეთი. მიუხედავად იმისა, რომ არწმუნებდნენ, საფრანგეთს ერთი ხელის გული მიწაც არ ეჭირვებაო, იგი სულ ელზასლორენისკენ, იყურებოდა. ეჰა, აი ასეთი ადამიანი კვლავ პრეზიდენტად ითვლება.

იმავე გაზეთში სწერია რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულების შესახებ: „ამ ომში რუსეთის მთავარი მისწრაფება ის გახლავთ რომ გაშლილ ზღვაში მყუდრო ნავთსაყუდარი იშოვოს. რაკიღა დარდანელის ოპერაციამ ამაოდ ჩაიარა, სტამბოლში გაბატონება მხოლოდ ოცნებად დარჩათ რუსებს. ეხლა იგი უნდა ეცადოს სპარსეთის ყურეში მაინც გაბატონდეს და აქეთკენ იპოვოს გასაქანი. როცა რუსეთი აქ მოიკიდებს ფეხს, რომელიც ფაქტიურად ინგლისის სფეროს შეადგენს, მაშინ რუსეთი ომს დასრულებულად ჩასთვლის და პუდის გარდაწყვეტილებით დაკმაყოფილდებაო.

კარპის აზრები.

ცნობილი რუმინელი გერმანოფილი კარპი დიდად სწუხს, რომ აქნობამდინ რუმინეთი ომს არ უცხადებს რუსეთს. რომ რუმინეთმა ოდესმე მაინც გამოუცხადოს ომი ავსტრია-გერმანეთს, ამაზე ხმის ამოღებაც კი ცოდვად ჩაითვლებაო. მოკავშირეთა იმედები, ვითომც გერმანეთს შიმშილით აიძულებენ იარაღის დაყრას, ესეც ოცნებაა და მეტი არაფერი, ვინაიდან გერმანეთს გზა ხსნილი აქვს სტოკჰოლმიდან მოყოლებული ბაღდადამდე. სასურველი იყო ჩვენც, რუმინელებიც დავხმარებოდით ადრე და მალეო. კარპის აზრით ომი დამთავრდება მაშინ, როცა გერმანელები მომაკვდინებელ მახვილს დასცემენ ინგლისს შიგ გულში—ეგვიპტეშიო!

საბერძნეთი.

ბულგარულ ჟურნალისტებისთვის, ბულგარეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ვაჩევს უთქვამს: საბერძნეთი არასოდეს არ დაარღვევს ნეიტრალობას და მისი გადაბირება მოკავშირეთა მიერ ყოვლად შეუძლებელიაო.

ფერდინანდის დაჯილდოვება.

ბულგარეთის მეფე ფერდინანდს საქსონიის მეფისაგან მიუღია უმაღლესი ჯილდო, საქსონიის სამხედრო ორდენი წმ. ჰენრიხისა. ასეთი ორდენი დღევანდლამდე ჰქონდა მხოლოდ ვილჰელმს და ფრანც-იოსებს.

ბულგარეთში.

დუნაის ნაპირებზე მდებარე ყველა ქალაქები გერმანელების ჯარით არის სავსე. ლომ-პალანკა დიდ სამხედრო ნავთსადგურად არის გადაქცეული.

სერბეთის ჯარი.

55 ათასი სერბიელი მეომარი უკვე გადაიყვანეს კორფუს კუნძულზე.

ჰუნგრეთის განცხადება.

ჰუნგრეთის მთავრობამ ოფიციალი ცნობა გამოაქვეყნა მთაშავეთის თაობაზე. რადგანაც მთაშავეთში ეხლა კანონიერი მთავრობა არ იმყოფება, ზავის თაობაზე მოლაპარაკება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო, როდესაც მთაშავეთის მხრივ დასახელებული იქნებიან უცილობელ უფლებებით აღჭურვილი პირნი.

უკანასკნელი ფოსტა

„რეჩ“-ი სწერს: რუსეთის ჯარმა მდ. სტრიპაზე ცებროვთან გაიმარჯვაო.

—

„ბირჟ. ვედ.“ იტყობინება: ბელოსტოკში გერმანელებმა ქარხნები განაახლეს და საომარ მასალისა და იარაღის ქარხნებად აქციესო.

—

„ფოსოვა გაზეტა“ სწერს: გუნარის განსაკუთრებული უფლებები მიენიჭა; იგი მალე საბერძნეთში საალყო წესებს გამოიცხადებს და ვენიზელოსის მომხრეებს სასტიკ დევნას დაუწყებს.

—

„გორნინგ პოსტი“ იტყობინება: პოლკოვნიკმა ჰოუზმა შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ვილსონს აცნობა: გერმანეთი მზათაა ზავზე მოლაპარაკება დაიწყოს მხოლოდ იმ პირობით, რომ ომამდე არსებული მდგომარეობა არ შეიცვალოსო, მაგრამ მოკავშირეებს არა ჰსურთ ესაო.

ბრძოლის ველზე

რიგა-დვინსკის რაიონში სამხედრო მოქმედება თანდათან იზრდება. უმთავრესად არტილერია მოქმედებს. ვერ ვიტყვით ამ რაიონში ატეხილ ბრძოლას გარდამწყვეტი ხასიათი ემჩნეოდეს. განახლებული ოპერაციები მოკლებულია იმ სიფიცხესა და სიმძაფრეს, რომელსაც იჩენდა გერმანეთის არტილერია ყოველთვის, როდესაც იგი ამოქმედებულიყო იმ მიზნით, რომ ნიადაგი მოემზადებინა საიერიშო და სატევ მოქმედებისთვის.

ჯერჯერობით რიგა-დვინსკის რაიონში წარმოებულ ბრძოლას ტაქტიკური დემონსტრაციის ხასიათი აქვს, რომ რუსის ჯარის მოქმედება სამხრეთის ფრონტზე გააბათილოს და ისეთი პირობები შექმნას ჩრდილოეთით, რომ სამხედრო რუსეთის ყურადღებას ეს ასპარეზი გაუხადოს მზრუნველობის მთავარ საგნად. ხოლო რადგანაც ამ რაიონში მოქმედების გაცხოველებას წინ უძღოდა გერმანელების მხრივ დიდი წინასწარი მზადება და რადგანაც რიგისა და დვინსკის აღება და მდ. დვინის გადმოლახვა იმ თავითვე გერმანეთის სარდლობის მიზანში ამოღებულ მისწრაფებას წარმოადგენს, ადვილად შეიძლება ეს დაწყებული ოპერაცია უცებ მთავარ ოპერაციად გადაიქცეს.

მოკლე ხანში გამოირკვევა რიგა-დვინსკის ოპერაციების ნამდვილი ხასიათი. გუშინდელი დეპეშის ცნობით, მიტავის შოსესა და მდ. დვინას შუა ცხარე საარტილერიო ბრძოლაა. ასეთივე ბრძოლაა გაჩაღებული ილუკსტის მიდამოებშიც. ჩემერზინთან გერმანელებს ზედი-ზედ იერიშები მიუტანიათ, მაგრამ ამას მათთვის უშედეგოთ ჩაუვლია. ცებროვის მახლობლად წინა დღით რუსებისგან დაჭერილ მაღლობზეც გერმანელებს მკაცრი იერიშები განუახლებიათ, რომლის დროსაც მოუშველებიათ ქარიშხალური ცეცხლი. დეპეშის ცნობით ეს მაღლობი ჯერ რუსების ხელშია.

კავკასიის ასპარეზზე, დეპეშის გადმოცემით, რუსის ჯარი წინ მიიწევა. ოსმალების შემოტევა რუსებს შეუჩერებიათ.

მეგრი.

თბილისი, 30 იანვარი.

საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობის გამო ქართულ პრესას არაჩვეულებრივი მოვალეობა აწევს. ერის ძირითადი ინტერესის დაცვა, მისი მრავალფეროვანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ქვეყნის მმართველი იდეის შექმნა და მაგიერობა იმ ორგანოს, რომელიც ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებით აღჭურვილ ერში ამ იდეის განაღდებას და განხორციელებას ემსახურება, ყოველივე ეს ჩვენში, საქართველოში ქართულ პრესას აქვს დავალებული და მის გარშემო უნდა გაირჩეს და გადაწყდეს. მეტია იმის თქმა რომ პრესა, რომელსაც თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, მრავალი სხვა ძირითადი საქვეყნო საქმე დაეკისრება, ჯეროვან პასუხს ვერც ერთს გასცემს და ვერც მეორეს. მაგრამ ჩვენმა წარსულმა გვიანდერძა ეგ მძიმე ტვირთი და ჩვენც უნდა ვწიოთ ჩვენი ჭაპანი სანამ მთელი ჩვენი ცხოვრება ნორმალ პირობებში არ ჩადგება და ერის ყოველ ფუნქციას თავისი სპეციალი ორგანო არ გაუჩნდება. დღეს-დღეობით გვმართებს პრესის თავზე ძალა-უნებურად დაწოლილ მოვალეობას მიუძღვნათ მთელი ჩვენი უპარტიო, მიუდგომელი გულისყური, რომ ჩვენი შეძლების ფარგლების ფარგალში საერთო ძალღონით ავიცდინოთ ისეთი შეცდომა, რასაც სათითაოდ ვერ ავიცდენთ. ნორჩია ჩვენი პრესა, მისი ტრადიცია ღარიბია, არა გვყვანან ისეთი პირები, ვისზედაც უშიშრად შეიძლებოდეს დაყრდნობა. და ერის რთული მოთხოვნილებისა და საჭიროების გაშუქება და დაკმაყოფილება გვიხდება შედარებით ჩვეულებრივ ადამიანებს. ეს გარემოება უფრო გვავალებს რომ ყოველი ისეთი საკითხი, რომელიც მთელი ერის საკითხად ითვლება, ერთარსება საქართველოს საკითხად, განხილულ და გაბჭობილ იქმნას წინასწარად. ისეთ სხდომაზედ, სადაც ყოველი ქართველი, პრესის წარმომადგენელი იქნება თუ არა, მოიტანს თავის კეთილ სურვილს, თავის კეთილგონიერებას და, რაიც უმთავრესია, თანხმობის, დაყვავების და სოლიდარობის სულსა და ტემპერამენტს.

ამ ზნისა და ხასიათის კოლექტიური ნებისყოფანი გონიერებანი შესძლებენ მრავალი „ქაცვიანი“ საკითხის ძმურად გადაწყვეტას და აიცდენენ იმ შეცდომას, რომელსაც წინააღმდეგს პირობებში ჩავიდენდით. ერთი მრუდეთ აღებული კილო ერთი უადგილო სიტყვა, თვის წერის ლოღიკის ძალით, მრავალ სხვა შეცდომას წარმოშობს და უტკივარ თავს აგვიტკივებს. გასულ წლის პირველ თვეებმა ამ მხრივ ქართულ საზოგადოებრიობას შეჰმატა კოლექტიური თანამშრომლობის ზნე, მორიგი საქვეყნო საკითხების წინასწარ გათვალისწინების მხრივ. პრესის წარმომადგენლები სხვების დახმარებით წინასწარ არკვევდენ ასეთ დიდ საკითხებს და მხოლოდ შემდეგ, თანახმად სასურველად ცნობის მეთოდის და ტაქტიკისა, თვით საკითხს პრესაში გამოიტანდენ. ამ წესმა, ვინ იტყვის თუ რამდენი ამაგი დასდო ქართულ საქმეს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ წესს სავალდებულო ხასიათი ეკარგებოდა. პირვანდელი მხნელი ინცინდენტი მოუშვა და ქართულ პრესაში კვლავ თავი იჩინა ჩვეულებრივმა ანარქიულმა პრინციპმა, რომელიც სათუთ და მორიდებით მოსავლელ ეროვნულ საკითხს, თავის ქეიფზე წარამარა ატრიალებს. ვიდრე გვიან იქნებოდეს, განვაგდოთ ეს პრინციპი. აღვადგინოთ და განვამტკიცოთ ჩინებული წესი, რომ ყოველი მორიგი ეროვნული საკითხი წინასწარად გაირჩეს ქართულ საქმის გულწრფელ მოყვარულთა და მისთვის თავდადებულ შეგნებულ მუშაკთა შორის.

ჩვენგან ისიც ბევრი იქნება, რომ ქართული პრესის ძნელი და რთული მოვალეობა შეერთებულის და წინასწარად შეთანხმებულის ძალით რამოდენიმეთ მაინც შევასრულოთ. ერთობა ჰქმნის ძალას. ნურასოდეს ვუღალატებთ ამ პრინციპს. უწინარეს ყოვლისა ჩვენ ქვეყანას ეს ერთობა სჭირია.

დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

კადეტების პარტიაში განხეთქილებამ თავი იჩინა. პარტიის მარცხენა ფრთა დანარჩენების ტაქტიკას არ იზიარებს, და მხარს უჭერს ბრძოლის ახალ ღონისძიებას.

—

სათათბიროს ცენტრი ბლოკზე ამყარებს თავის იმედებს. იგი მოითხოვს გადაუდებელ რეფორმათა ხანდაუსმელ განხორციელებას. პროგრესისტებს არა სწამთ სათათბიროს სხდომების ნაყოფიერობა.

—

ინგლისური ცნობების მიხედვით, გერმანელებს დიდძალი ჯარი გადაჰყავთ საფრანგეთის ასპარეზზე. იპრთან თავმოყრილი დგას გერმანელთა დიდი ჯარი. მოელიან გერმანელების შემოტევას.

ახალი ამბავი

ვაჟას პანაშვიდი. დღეს, 12 საათზე დიდუბეში ვაჟას სამარეზე პანაშვიდს გადიხდიან წირვის შემდეგ.

◆ **მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგნენ** იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი და პიროს ალავერდელი.

◆ **საქართველოს ექსარხოსი** დღეს აკურთხებს რკინის გზის საავადმყოფოსთან ახლად აგებულ ტაძარს ღვთისმშობლის სახელობისას.

◆ **გაემგზავრა** თავის ეპარქიაში ყოვლად-სამღვდელო გიორგი ეპ. იმერეთისა.

◆ **თბილისში ჩამოვიდნენ** მიწადმოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ბ-ნი ლისკუნი და მთავარი-სპეციალისტი სამოსწავლო ნაწილისა ბ-ნი ლევინი რომელთაც გუშინ ინჟენერი ვინოგრადოვის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი [illegible] განმარტესას აძლევდენ დირექტორი სასწავლებლისა ბ-ნი ვინოგრადოვი და ინსპექტორი ი. ე. გამყრელიძე.

◆ **ხარფუხის კლუბიდან** ჯარი გაიყვანეს, ასე რომ დღეიდან კლუბი ნორმალურ პირობებში იმოქმედებს.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საღამოდან** რომელიც ახალ კლუბის დარბაზში გაიმართა შემოსულა სულ 4500 მანეთი ხარჯი ყოფილა 1500 მ. ნაღდი დარჩენილა 3000 მან.

◆ **უწმ. სინოდმა** ხელ-ახლა განუმარტა სასინოდო კანტორას, რომ იმ მღვდლებს რომელთაც საღვთო-სჯულის მასწავლებლის ადგილები უჭირავთ სასწავლებლებში სამრევლო არ უნდა მიეცეთო.

◆ **ელ. ჩერქეზიშვილის** საზეიმო საღამოს მმართველ კომისიის სხდომა დღესაა დანიშნული ახალ კლუბის დარბაზში.

◆ **ერთდროული დახმარება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ჯერ-ჯერობით 300 მანეთი გადასდვა ახალციხის ქალთა სასწავლებლის დასახმარებლად.

◆ **გაზეთები ჯარისკაცთათვის.** მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სალაზარეთო კომისიის თანახმად ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაიკვეთა მოსკოვის ლაზარეთებში მოთავსებულ ქართველ ჯარისკაცთათვის სამ-სამი ცალი გაზეთ „საქართველოსი“, „სახალხო ფურცლისა“ და „თანამედროვე აზრისა“.

◆ **ქართული კონცერტი.** დღეს, 31 იანვარს, სახალხო სახლში **თბ. „ქართ. მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი“ მ. კავსაძის ლოტბარობით** ჰმართავს კონცერტს. მ. კავსაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ქართული მუსიკა, სიმღერა-გალობა, მისი ეხლანდელი მდგომარეობა და განვითარება“. კონცერტის პროგრამა საგულისხმოდ არის შედგენილი. დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

◆ **ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ წინადადებით მიმართა საზოგადოების ბათომის განყოფილებას, დაუყონებლივ გამოარკვიოს რამდენად საფუძვლიანია გაზეთებში მოთავსებული ცნობები შესახებ იმისა, რომ გადახვეწილ აჭარელთა მამულები სხვებს (უცხო ტომის ხალხს) უნდა გადასცენო! შეკრებილი ცნობები უნდა იყვეს უტყუარი, რადგან ამ ცნობებზე დამყარებული მოხსენება უნდა მიართვას მთავარმა გამგეობამ მეფის ნაცვალს თბილისში და მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტს პეტროგრადში.

◆ **მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის“** წევრთა საგანგებო კრება გაიმართება დღეს, 31 იანვარს, „ახალი კლუბის“ დარბაზში. კრება დანიშნული იყო დილის 11 საათისათვის,

სოფელი და სოფლელები

სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება)

გლეხის ცხოვრება, ს. მგალობლიშვილის დახასიათებით,—უკიდურესად უმწეო და დუხჭირია. აბა მოუსმინოთ თვით „ულმობლად მომუშავე“ ცეცოს, —ამ ნიადაგ მშრომელ და გამრჯელ გლეხის—ფიცს, რომ „წრეულს ხუთი კოდი პური ძლივად ძვლივს გამოჰყვა“ („ღამის მეხრე ცეცო“, გვ. 22). „დედა მაიაში“ ელისაბედი გულდამწვარი ამბობს: „რაღაც საცოდავი ორი დღის ქერი გვებადა, სუ ერთიანად ხელით მოვგლიჯეთ, თითის წვერებზე ცეცხლი მეკიდება, სუ წუნებაში გამომტეხს“. იმავე მოთხრობაში გლეხი ლაზარე ასეთს უმწეობა-სიღარიბის სურათს გვიშლის თვალწინ: „ერთი წალდი მათხოვე, შესთხოვს მეზობელს, ხვალ უნდა ტყეში წავიდე და იქნებ პატარა ფიჩხი და შეშა-ფიჩხი ავაგროვო. დღესაც, კაცო, ვერათი გამოვაცხვე პური. წუხელის შუაღამისას ზურგით მოვიტანე საფქვავი, აქ ხომ ღმერთს არ გაუჩენია წყალი... ბავშვები შიმშილით მეხოცებიან. ეს ორი დღეა თურმე ჩემი ცოლ-შვილი სულ მოხარშულ მხალზე გამოდის. ჩემს ცოლს უშმობით კეცებშიაც ვერ გამოეცხო ხმიადები“. (გვ. 11).

„ჯორ-ზაქარაში“ ერთი გმირთაგანი აი როგორ მოსთქვამს: „ოჰიმე, რა სიცოცხლეა ჩვენი სიცოცხლე, რა! რად გაგვაჩინა გამჩენმა... ის არ სჯობდა, ისევ პირუტყვ-მხეცებად ყოფილიყავით?.. ჩვენა ვართ მხოლოდ დაწყევლილები“ (გვ. 4). რა მიზეზებმა წარმოშვეს ასეთი უმწეობა ქართველის გლეხისა? რამ წარუკვეთა მას სასოება?

ს. მგალობლიშვილის აზრით მიზეზი სულ სხვა და სხვა გვარია: სტიქიონის, ბუნების შეუბრალებლობა, ბატონის და მემამულის ექსპლოატაცია, მათი მოხელეების ალვირახსნილი თარეში და ცარცვა-გლეჯა და თვით გლეხის უვიცობა-სიბნელე.

„ბუნებამ თუ იძუნწა, მსჯელობს ავტორი, და დროზე არ გამოუგზავნა წვიმა და ფხვიერი, მზისგან დამწვარი, მიწა არ გამაგრდა, ცუდათ არის სოფლის საქმე,—იმას დიდი შრომა დღიურ ლუკმას ძლივს აძლევს“ („ღამის მეხრე ცეცო“, გვ. 6) მაშასადამე სოფლის ცხოვრება ისეა მოუწყობელ-მოურიგებელი, სოფელი ისეა ჩამორჩენილი კულტურულად, უცოდინარობას და გონების სიბნელეს ისე გაუდგამს აქ ფესვები, რომ გლეხი, როგორც პირველყოფილი ადამიანი, სრულებით ბუნების ძალებისაგან დამოკიდებულია; ის, როგორც ბავშვი უძლურია ბუნების მკაცრი მოვლენების წინაშე და ეს იმისთვის, რომ სოფელში რამე სამეურნეო ცოდნის და ტეხნიკის ხსენებაც არ არის; გლეხი უმწეოდ ცას შეჰყურებს და იქიდგან მოელის თვის ბედს და უბედობას. რაც გინ ბუნებით უხვი და მდიდარი იყოს ნიადაგი, იგი ბოლოს და ბოლოს მაინც მოცვდება, გამოფიტდება, თუ რაციონალური ზომები, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული, არ იქნება შემოღებული მისი გადასახალისებლად, გასანოყიერებლად.

ამ მხრივ, ავტორის დასურათებით, ჩვენი სოფლები უკიდურეს მდგომარეობაშია. აქ უმეცრებას ღრმად გაუდგამს ფესვები და მისი ბუნებრივი სიმდიდრე გაუბათილებია. სამწუხაროდ, მწერალი ამ ძირითად საკითხებს თავის მოთხრობებში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს; ის მხოლოდ გაკვრით ეხება მათ.

მართალია, ამ საკითხის ღრმად და მეცნიერულად ახსნა-განმარტებას ჩვენ ვერ მოვსთხოვთ ს. მგალობლიშვილს, მაგრამ სასურველი კი იყო, რომ მხატვრულს ფორმებში სურათებით გაეშუქებინა სოფლის ცხოვრების ზოგიერთი ძირითადი საკითხები. ამ შემთხვევაში მწერალს შეეძლო, მაგალითად, კონტრასტებისთვის მიემართნა, ე. ი. ეგრძნობინებინა, ეჩვენებინა უპირატესობა და სარგებლიანობა იმ პატარ-პატარა ცვლილებებისაც რომელიც ხდებოდა და დღესაც ხდება ჩვენს მეურნეობაში. მეოჯახობაში, საერთოდ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ ცხოვრებაში მკრთალი და სუსტი ახალ ცვლილებათა დანახვა, განსჭვრეტა და მით უმეტეს პოეტურად მისი დასახვა მხოლოდ ძლიერს ტალანტს შეუძლია,—ისეთს ტალანტს, რომელიც თანამედროვე მეცნიერული ცოდნითაც არის გაღრმავებულ-გაღონიერებული. ბ. სოფ. მგალობლიშვილს, ჩვენი სოფლის ცხოვრების ზედა-პირის კარგ ცოდნასთან ერთად, სამწუხაროდ, არ ემჩნევა გლ. უსპენსკისავით მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული კვლევა-ძიების უნარი ამ რთულ და საჭირბოროტო საკითხში, მაგრამ რაც გინდა იყოს, ამისთვისაც დიდი მადლობის ღირსია მწერალი, რომ მან ამ საკითხს ყურადღება მიაქცია, მით დაინტერესდა და გზა გაუხსნა სხვებს ამ სფეროში უფრო მომზადებულ მუშაობის გასაგრძელებლად.

ს. მგალობლიშვილის მოთხრობაში „ცვრევაზე“ ერთს ასეთს სცენას შევხვდებით: გათვითცნობიერებული და მშრომელი აზნაური დარისპანი აი როგორ ებაასება შეძლებულ და გაგებულ გლეხს გაბრიელს:

— სულ მართალს ამბობ, ჩემო გაბრიელ, უთხრა დარისპანმა, ჩვენ ეგრე დაჩვეულნი ვართ თავიდგანვე. უწინ სულ სხვის ხელით ვაკეთებდით და ეხლა გვეჩოთირება. აკი ვინც თითონ ირჯება. ცხოვრებაც აქვს. ეხლა თანდათან კი ეჩვევიან, რაკი მეტი ღონე აღარ გააჩნიათ. ჩვენი კაცი სწავლაში იღუპება. აი ეხლა მე: ვიყავ, ვიყავ სკოლაში და გამოველ, ვერ გავათავე: კიდევ კარგი, რომ სოფლური მუშაობა შევძელ. აგერ ჩემი შვილიც გამოაგდეს რაც ისწავლა, ისიც ფუჭია, არც შინაური საქმე ეხერხება. დღე ერთია და ჩხუბი ათასი.

— ჰეი! რა ცუდი დრო შეგვექნა და! უსწავლელი კეთილშობილი ერთს მანეთად არა ღირს.

— ისეთს სკოლაში მაინც მიმეცა, რომ ე მამულის ხელი მაინც ესწავლა.

— აი მე, მაგისთანა სკოლა არის განა? აი დიდება შენთვის ღმერთო, რა სალმასტერი ხალხი გახდა ქვეყანაზე! ეგკი კაი ამბავია, მაგრამ ე ჩვენ რო არ გვისწავლია, გააწყვეტინა ზურაბამ.

— მა დედის მუცლიდან დაგვყვა! უთხრა ღვინისგან გათამამებულმა გიორგიმ,—რატომ მე არ ვიცი ვენახის მუშაობა, გუთნის აგება, ურმის დახსნა? იმიტომ რომ, არ მისწავლია.

— ეგეც კია, მე და ჩემმა სიყმემ: მა რა არის, თუ არა ვსწავლობთ.

— ყველაფერი სწავლით არის, სთქვა გამოცდილმა გაბრიელმა...

ეს სცენა იმითია საგულისხმო, რომ ამტკიცებს გლეხების გონების მუშაობას, აზროვნობას. წყნარად, ნელის ნაბიჯით, თითქმის შეუმჩნევლად გზას იკაფავს სოფელში ფიქრი და აზრი. ჯერ-ჯერობით ირგვლივ სიჩუმე და მოწყენაა, მაგრამ ამ სიჩუმეში და ძილში ნელ-ნელა ნათლდება უმეცრებით და უუფლებობით დაჩაგრულ გლეხის გრძნობა და გონება.

ს. მგალობლიშვილი გაკვრით მაინც აღნიშნავს ხალხის აზროვნობის ასეთს თანდათან გამოფხიზლებას.

ერთს „ბედკრულს მუშაში“ აი რა ნაირ აზრს უპოვნია ადგილი: „ღმერთმანი, ფიქრობს ის, რად არის ეს ასე, რომ ყველას მე ვაძლევ და მე-კი არავინ მაძლევს“ („დედა მაია“, გვ. 28). მეორე გლეხი კითხულობს: „ეგ კი არა და, ღმერთმანი, ეს ვერ გამიგია: რათ არის რო ზოგი დღუს და გადმოდის და ზოგს კი შიმშილით კუჭი ეწვის. ჰა ე? შენი არ იყოს ცეცო, ღმერთმანი, რომა ღამე და დღის გასწორება თუ არი, რა ჰქვიან, ვასწორებთ და, რა ვიცი, უნიათო კი არი ჩვენი ყველაფერი და. („ცეცო“ გვ. 23—24).

მეველე ტატეს აზროვნება გაცილებით უფრო ნათელი და გადაჭრილია: „სოფელი ცხვარია, ამბობს იგი; ვინც ხმას ამოიღებს, ავყია. დედას დავეღლიე, თუ მე დღეს უკან ი ჩვენ მგელკაცების საქონელს კიდევ წავახდენინო რამე. რათა, შვილო და ძმაო, რომ მომერიო, იმიტომ უნდა გადამლახო? ამისთანობა არ უნდა იყოს“. („მეველე“ გვ. 5).

ჩვენ ქვემოდ დავინახავთ ეს ფიქრი და აზროვნება გლეხისა თუ რა ნაირად გაიზრდება და როგორის სიძლიერით გამოაშკარავდება ცეცოს და ჯორ-ზაქარას პიროვნებაში.

ახლა კი, მწერალთან ერთად, დაუბრუნდებით გლეხის დაბეჩავების სხვა მიზეზებს გამორკვევას.

გლეხის დაბეჩავების ერთი უპირველესი მიზეზთაგანი უმიწა-წყლობაა და აქედან გამომდინარე მისი ეკონომიურად დამოკიდებულება მემამულეებისა და მათი მოურავებისაგან. სახნავ-სათესის სიმცირე დიდად აღონებს ქართველ გლეხს, რადგანაც მიწა უმთავრესი წყაროა მისის არსებობისა. მოუსმინოთ გლეხის მსჯელობას ამ საგანზე: „ჩვენი ხალხი, შენი ჭირიმე, უფრო ხვნას მისდევს, ამბობს ერთი გლეხი. ჩვენ ეგრე რიგად ვენახს არ ვმუშაობთ. იმდენი ღონე აღარ არი, შენი კვნესამე, რომ სუ ბოლომდე გავაწვდინოთ; მინდორი, მინდორი—ჰეი!—სახნავ-სათესი ილევს ჩვენს სიცოცხლეს“.

— მერე რა? ჩვენი მინდორი ურწყავია; თუ ბლომად არ მოხანი, თავს არ მოდის: გოლვას რომ დაგიჭერს, უნდა მოაგროვო რამე თუ არა.

— მე თქვენ მოგახსენოთ, ე ხეობის სერები რო სარწყავი იყოს, ჩვენ საქართველოში ამას ადგილი არ ემჯობინებოდა.

— შენ ისა სთქვი, გაბრიელ, რომა თარხანი ძამულები იყოს, რომ...

— ეს ხომ კოვზით ზიარება იქნებოდა. მაშინ აზნაურებს სულ უკან ჩამოვყრიდით“ („ცვრევაზე“, გვ. 9-10). ეს პატარა საუბარიც ნათელს ჰყოფს იმ ფაქტს, რომ გლეხთ საკმაოდ მიწაწყალი არ ჰქონიათ, რომ ის ცოლშვილს „ორიოდე დღის მიწით“ ვერ გამოკვებავს და იძულებულია ნახევრად მშიერ-ტიტველმა გაატანოს თვისი ძაღლური ცხოვრება.

ივ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

მაგრამ რადგან ამ დროს დანიშნულია ვაჟა-ფშაველას მოსაგონებლად წირვა და პანაშვიდი, კრება დაიწყება ნაშუადღევის პირველის ნახევარზე.

◆ **აკაკის საღამო.** დღეს, კვირას, 31 იანვარს, საღამოს 5 საათზე, „განათლების“ საზოგადოების ქალთა სასწავლებელი გამართავს აკაკის სახელობის საღამოს.

◆ **გადმოხვეწილ** სომეხთა სვე-ბედზე მზრუნავ თბილისის კომისიის თავმჯდომარემ ამბარცუმ არაქელიანმა განკარგულება მოახდინა, რომ შეადგინონ თბილისში შემოხიზნულ ლტოლვილთა სია, რომელიც შემდეგ უნდა წარედგინოს თბილისის გუბერნატორს განკარგულების მოსახდენათ, რათა ამ სიების მიხედვით ულუფა აძლიონ ლტოლვილებს.

◆ **კავკასიის სახოფლო სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია 2 თებერვლისათვის. კრებამ უნდა აირჩიოს სარევიზიო კომისია 1915 წლის ანგარიშის შესამოწმებლად და მოისმინოს ძველ სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების 1913 და 1914 წლის ანგარიშის შესახებ.

◆ **ბალმონტის საღამო პეტროგრადში.** 24 იანვარს მგოსანმა ბალმონტმა გამართა საღამო და წაიკითხა ლექცია: „ჯვაროსანი სიყვარულისა“—შოთა რუსთაველი, შემდეგის შინაარსით: თამარის მეხოტბე. რაინდული წარმოდგენა სიყვარულისა 11, 12 საუკ. საქართველოში. სილამაზე ქართული ენისა. თამარ მეფე, როგორც ზეშთამგონე „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერისა. პოემა რუსთაველისა, როგორც ახსარება სიყვარულისა. ორი სახე სიყვარულისა. რუსთაველი და დანტე. სიყვარული და განტევება. ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდის.

ლექციის შემდეგ ს. დ. ბალმონტმა წაიკითხა ნაწყვეტები „ვეფხის-ტყაოსნიდან“.

◆ **საგანგებო კრება.** ხვალ, 1 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განაგრძოს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის წინასწარი განხილვა.

◆ **ცნობების შეკრება.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა ბ-ნ ალ. სამადაშვილს გზავნის თელავის მაზრაში ომიანობისაგან დაზარალებულთა ოჯახების შესახებ ცნობების შესაკრებად.

◆ **სამოსელი ქართველ მაჰმადიანთათვის.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა ამ დღეებში გაგზავნის ბათომის ოლქში 3 ვაგონ ტანთსაცმელებს, საბნებს და სხ. ლტოლვილ და საზოგადოდ ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთათვის. ეს ნივთები დამზადებულია იმ ფულით, რომელიც გადმოხვეწილთა სვე-ბედზე მზრუნავ კავკასიის კომიტეტმა გადასდვა. საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი საწყობი და სახელოსნო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლებში. სახელოსნოების და ნამუშევრის დათვალიერება შეიძლება დღის 12—3 საათამდე. მთავარი გამგეობა საზოგადოებისა აგრეთვე 2 ვაგონ ტანთსაცმელებს გაგზავნის იმავე ბათომის ოლქში თავისი მცხეთის სახელოსნოდან.

◆ **ვაზის წამალი.** 29 ამა თვეს კრება ჰქონდა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს, რომელმაც ითათბირა შესახებ იმისა; თუ როგორ გაანაწილოს შაბიამანი, რომელიც მთავრობის დახმარებით გამოწერილი აქვს ფრიდონოვის სავაჭრო სახლს. კრებას სხვათა შორის დაესწრო კახეთის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის წარმომადგენელი ბატონი ირაკლი ფორაქაშვილი. როგორც ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო აღნიშნული, ბ-ნს ფრიდონოვს ჯერ-ჯერობით მოუვა მხოლოდ 18.000 ფ. შაბიამანი, მოთხოვნილება კი ბევრად მეტია, ამიტომ კომიტეტმა დაადგინა: 6000 ფუთი გადაეცეს თითონ ფრიდონოვს თბილისის მაზრის მევენახეთათვის,რომელთაც უკვე მისგანვე აქვთ დაკვეთილი შაბიამანი, ხოლო დანარჩენი 12.000 ფუთი განაწილდეს გუბერნიის დანარჩენ რაიონების მევენახეთა შორის იმ ანგარიშით, რომ პირველი წამლობა ვენახებისა შესაძლებელი დარჩეს.

◆ **ტყვედ წაყვანილ მეომართა დამხმარე თბილისის კომიტეტის** კრება გაიმართა 29 იანვარს. კრებამ განიხილა საკითხი შესახებ იმისა, შეუერთდეს თუ არა ამ კომიტეტის მოქმედება ქალაქთა კავშირის მოქმედებას. მოსმენილ იქმნა ქალაქთა კავშირის რწმუნებულის მოხსენება შესახებ მოქმედების გაერთიანებისა და პირობები, რომელნიც ამ გაერთიანებას საფუძვლად უნდა დასდებოდა, მაგრამ კრებამ წინადადება არ შეიწყნარა და დაადგინა აღარ იქონიოს მსჯელობა გაერთიანებაზე. ამასთან ერთად კრებამ საჭიროდ სცნო ამ კომიტეტს დაერქვას „ტყვედ წაყვანილთა დამხმარე კავკასიის საზოგადოება“ და შესაფერისი წესდება შეადგინოს და მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად.

◆ **სახალხო უნივერსიტეტთა** საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, გამართოს ყველიერის კვირაში საარტისტო საზოგადოების დარბაზში სალიტერატურო-სამუსიკო საღამო და მიიწვიოს მონაწილეობის მისაღებად ოპერისა და დრამატიულ დასის მსახიობნი, მემუსიკენი, მხატვარნი და სხ. დასასრულ უნდა გაიმართოს ევროპიული და ადგილობრივი ცეკვათამაში. საუკეთესო ტანთსაცმელის მქონეთ დაურიგდებათ პრემიებათ ცნობილ მხატვართა პორტრეტები.

◆ **შემოტანილია** 29 იანვარს: ფქვილი 1 ვაგ., ხორბალი 4 ვაგ., და შეშა 7 ვაგ.

ქუთაისი

ქუთაისში გამოიცა ბრძანება, პირველი თებერვლიდან თეატრმა, ელექტრო-თეატრებსა და სალიტერატურო საღამოებზე შესასვლელ ბილეთებზე დადებული იქნება სახელმწიფო ბაჟი. ათ შაურამდე ღირებულ ბილეთზე ბაჟი იქნება ერთი შაური. ათი შაურიდან ერთ მანეთამდე ღირებულ ბილეთზე ერთი აბაზი და სხვა, ალბად კინემატოგრაფებისა და თეატრების მოიჯარადრეები შესასვლელ ბილეთებზე ფასს მიუმატებენ.

— ამ დღეებში ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ქალაქის თეატრში დაიწყებს ლექციების სისტემატიურად მართვას.

— სამთო დეპარტამენტის განკარგულებით მომავალი გაზაფხულიდან ქუთაისის გუბერნიაში არსებულ საალაღო ადგილებში დამზადებული იქნება თივა სამხედრო საჭიროებისათვის.

— კვირას, 31 იანვარს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება. უნდა აირჩიონ კომისია, რომელიც დეპუტატთა საკრებულოსთან ერთად გამონახავს სალსარს დეპუტატთა საკრებულოს მოსამსახურეების შესანახავად.

— ქუთაისში ღვინის გაყიდვის ნებართვა ჯერ-ჯერობით სამმა კაცმა აიღო.

ს. უკანეთი (ქუთ. მაზ.)

26 იანვარს, აკაკის გარდაცვალების წლის თავზე, ადგილობრივ ეკლესიაში მღვდელმა მიხეილ ბუაჩიძემ ჩვენი სულმნათის მგოსნის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა. დაესწრნენ ადგილობრივი ინტელიგენცია, სამინისტრო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებელი და მდაბიო ხალხი. პანაშვიდის შესრულების დროს გალობდა აღნიშნული სკოლის მოსწავლეთა გუნდი მასწავლებლის ლოტბარობით. მღვდელმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ერთი წლის არსებობის ხანაში საზოგადოების ნდობა და ყურადღება დაიმსახურა. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თვით მთავრობამ იცნო ღირსად და სხვა მისი მსგავსი საზოგადოების უფლება მიანიჭა და საერთო ნუსხაში შეიტანა. ხსენებულ საზოგადოებას სასოების თვალით შეჰყურებენ საქართველოს დამშეულები, დარბეულ-აწიოკებული მოძმენი, წყალდიდობისაგან აყრილ-დაზარალებულნი, უმწეო მოსწავლე ახალგაზდობა, ჯარში გაწვეულთა ოჯახები და სხვა.

ყველას თვალი ამ საზოგადოებისაკენ არის მიქცეული და მისგან მოელიან გაჭირვების ცრემლის შეშრობას. საზოგადოებაც თანდათან დაიტვირთა მრავალფეროვანი და ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელი და საშური, სასწრაფო საქმეებით. ყოველივე ამის მიხედვით საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობის წევრები, ღრმად ვიყავით დარწმუნებულნი, რომ რაკი იკისრეს გამგეობის წევრობა, საქმეს გულმხურვალედ შეხვდებოდნენ და შრომა-გარჯას არ დაიზარებდნენ.

მაგრამ ქართული საქ. საზოგადოების გამგეობაც ქართველებისაგან შესდგება და რა გასაკვირია თუ აქაც ქართველურმა გულგრილობამ ასე მალე თვალსაჩინოდ იჩინა თავი. ჩვენ, ქართველები ყველანი მზად ვართ საზოგადო საქმის მეთაურთა რაზმში ჩავეწეროთ. საზოგადოების სამსახურზე თანხმობა განუცხადოთ, გამგეობაში ავარჩევინოთ, თუ არ აგვარჩიეს პრეტენზიაც განვაცხადოთ, მაგრამ როცა აგვირჩევენ, მერე საქმეს ახლოსაც არ გავეკაროთ. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის შვიდი წევრი პირველ ხანებში, სწორეთ მაშინ, როცა საზოგადოებას საქმე ნაკლები ჰქონდა, კრებებს ესწრებოდენ, ნაკისრ საქმეს პირნათლად ასრულებდენ, მაგრამ როცა საზოგადოების ნდობა გაიზარდა, როცა ის მრავალი საქმეებით დაიტვირთა, როცა მეტი შრომაა საჭირო, როცა მას საარსებო სახსარი გაუჩნდა, როცა ზოგიერთი საქმე დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ითხოვს, სწორეთ ამ დროს გამგეობის წევრები კვირაში ერთხელაც აღარ ესწრებიან გამგეობის სხდომას.გამგეობის 7 წევრიდან სხდომას ოთხი მაინც უნდა დაესწროს, მაგრამ არც ოთხი ესწრება და ამის მიზეზით ზედიზედ არ შესდგა მაგ. უკანასკნელი სამი სხდომა. საჭიროა გამგეობის პატივცემულმა პირებმა გაითვალისწინონ თუ რა პასუხსაგებ საქმეს აბრკოლებენ სხდომებზე დაუსწრებლობით და ან უარი განაცხადონ წევრობაზე ან და საქმეს მუყაითად მოეკიდონ. მასთან სასურველია გაჭირვებულ ქართველი საზოგადოების საყურადღებოთ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ და მდივანმა გამგეობის სხდომის მეორე დღესვე ქართულ გაზეთებში გამოაცხადონ, სხდომაზე რომელი წევრი მოვიდა და რომელთა დაუსწრებლობის გამო სხდომა გადაიდო. ვიმეორებ, ისეთ სერიოზულ და ყოვლად საჭირო საზოგადოების ასე გულგრილად მოპყრობა დასაგმობია, მეტსაც ვიტყვით, ეს არის საზოგადო საქმის ღალატი, რომლისათვისაც პასუხი უნდა აგოს ყველა დამნაშავემ.

ა—ნ.

შიო მღვიმელის ლექსთა კრებულის გამოცემა

ბევრჯელ თქმულა და დაწერილა, რომ ჩვენი საბავშვო მწერლობა ღატაკია. ჩვენი მოზარდი თაობა ითხოვს საკითხავ წიგნებს და არა გვაქვს. საბავშვო მწერლობას ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს და საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების გამოცემა-გავრცელება საშურ საქმეთ უნდა მივიჩნიოთ. ამას კი უნდა კისრულობდეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ჩვენი ყმაწვილების სულსა და გულს ისე მძლავრად არავინ ჰხიბლავს, ისე არც ერთი მწერალი არ იზიდავს, როგორც **შიო მღვიმელი**. შიო მღვიმელის ლექსები უზადო მარგალიტებია, რომელსაც ყმაწვილების უმანკო სული ადვილად ითვისებს. სირცხვილი ჩვენი, რომ დღევანდლამდე შიოს ლექსთა კონა არა გვაქვს გამოცემული და მით ჩვენს მომავალ იმედს, ჩვენს ყმაწვილებს არ ვახარებთ, მათ სულსა და გულს არ ვასპეტაკებთ, არ ვანვითარებთ და არ ვართობთ. დარწმუნებული ვიყავით შიოს ნაწერებს გამოსცემდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მით ორმაგ კეთილ საქმეს შეასრულებდა: ბავშვებს მისძღვნიდა მშვენიერ ნობათს და ნივთიერად შევიწროებულს მგოსანს მცირე ჰონორარის მიცემით ტანჯულ ცხოვრებას შეუმსუბუქებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ შიოს ლექსთა მთელი კრებულის გამოცემა **საუკუნო** საკუთრებად შეუძენია კერძო გამომცემელს და შიოსთვის 10,400 პწკარში მიუცია 600 მანეთი (სამოცი თუმანი, პწკარზე 6 კაპ.). ცხადია ეს ჰონორარი მარტო ერთი გამოცემის უფლებისათვისაც მცირეა, და მით უმეტეს გამოცემის საუკუნო უფლებისათვის, მაგრამ ვინც შიოს მდგომარეობა იცის იმას არ გაუკვირდება, თუ შიომ ასე მუქთად რათ დასთმო თავისი „ცვარ-მარგალიტები“. მაგრამ როგორც გავიგეთ შიოს ნაწერების გამოცემის უფლება უყიდია ისეთ პირს, რომელიც თურმე მზად არის, თუ ფულს (600 მ.), გაუნაღდებენ შიოს უფლება ისევ აღადგინოს. ჩვენის აზრით ამ გამომცემლის გულკეთილობით დაუყოვნებლივ უნდა ისარგებლოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და შიოსთან შეთანხმებით გამოისყიდოს უკვე გაყიდული უფლება. ცხადია საზოგადოებამ შიოს მდგომარეობით არ უნდა ისარგებლოს და მგოსანს ღირსეული ჯილდო უნდა მისცეს.

მეტი დაფასება გვმართებს საზოგადო მოღვაწისა სიცოცხლეშივე და ნაკლები გვირგვინები და სიტყვები სიკვდილის შემდეგ.

ა—ნ.

მილიონერების ქალაქში

ღმერთმა დაგიფაროთ ღამიანად ქ. ბაქოში მისვლა.

გაჩირაღდნებულ რკინის გზის სადგურიდან თათრის ეტლი უეცრად შეგაცურებთ ისეთის ბნელეთის წიაღში, რომ მიუხედავად მრავლად გამწკრივებულ და მობჟუტავ პაწია ნავთის ფარნებისა, მაინც ვერას არჩევთ...ვერც ქუჩას, ვერც სახლს, ვერც კარს.

ამბობენ ქ. ბაქოს თავისი თვითმართველობა ჰყავსო და 40 მილიონიანი ბიუჯეტი აქვსო!

მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ ემჩნევა ბაქოს სახეს.

საზარლად მოკირწყლული და ამიტომ ტალახიანი ქუჩები, უელექტრონო, უტრამვაიო და უწყლო ასეთ სანახაობით უხვდება დღესაც მილიონერების ქალაქი გოლცებულ თბილისის სტუმარსაც კი.

მაგრამ მიუხედავად ამისა ბაქოს ცხოვრება მაინც სდუღს სიცოცხლით.

ეტლები, ცხენის „კონკები“, ქუჩები გაჭედილია აჩქარებულად მოსიარულე „საქმიან“ ხალხით...

ტალღა-ტალღაზე მიდი-მოდის ხალხის ბრბო, იფანტება აქ და იქ ხელახლად გროვდება, აწვება ბაქოს მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს და საბოლოოდ მიეფარება საღამოს 8 საათზედ.

სახაიებში და კაფეებში ამ დროს ცარიელ ადგილს ვერ მონახავთ. გაჭედილია.

ყველა მის კუთხიდან მოისმის მარტო საქმიანი ლაპარაკი და მარტო—ნავთზე, ნავთზე და ნავთზე.

— რამდენს ჰყიდი?

— 20000 ფუთს!

— გაჰყიდე?

— არა, ვუცდი—მოისმის ერთი მაგიდიდან.

მეორედან ისმის გახურებული კამათი თამასუქების განაღდების გარშემო, მესამე მაგიდასთან ხელის ჩამორთმევით, ჰხედავთ, ათავებენ მორიგებას.

ქუჩებშიაც თქვენ ყურებამდის იგივე ჰანგები აღწევს:

— რამდენი მოიგე?

— 5000 მანეთი.

— მე მარტო 3000...

— უხეიროდ მოიქეცი!

ტაგიევი, ნაგიევი, ნობელი, ლიანოზვი, აი სათაყვანებელი სახელები და კერპები ბაქოელებისა...

მათ სახელებს, როგორც მათ სახლებს ყოველ ქუჩაზე წააწყდებით.

მოღალული ამ ერთფეროვნობით და მაბეზარ საქმიან ლაპარაკით დასასვენებლად რასაკვირველია წაბრძანდებით ბაქოს ბულვარდზედ.

აქ თქვენ სულ სხვა სურათი დაგიხვდებათ; ბაქოს მეორე ნახევრისა— ბაქოს ქალებისა.

ლამაზ და უშნო ქალებისა (უმეტესად უშნოსი)

ყველა ეროვნების და რჯულის ქალებისა.

გამოწყობილნი მდიდარ ხავერდ ფარჩეულობაში და ოქრო-ბრილიანტებში ამაყად დასეირნობენ და ფლირტიდ სტკბებიან.

ბაქოს ბულვარი—ეს ზედაპირია ბაქოელების ნავთიან ცხოვრებისა.

ბაქოელს იგი თავის სიმშვენიერედ მიაჩნია და რასაკვირველია მითი თავიც მოაქვს.

მაგრამ ყველა კი ამ გემოვნებას არ იზიარებს.

მე, მაგალითად, სრულიად არ გამიტაცა ბაქოს ბულვარის „სიმშვენიერემ“.

ნავთიან კასპის სანაპირო—ბაქოს ბულვარი, თავის ჩასუქებულ მოსეირნე ქალ-ვაჟით რაღაცა მოყვითალო ფერში შეღებილად მეჩვენა.

ნავთის ფერში.

და მათ ფარჩა-ბრილიანტებს მძიმე სუნი მოსდევდა:

მაზუთის სუნი.

დამეთანხმებით, რომ ყველა ეს მშვენიერებისათვის უხერხული ჩარჩოა!

ეკალი.

კიზიყის გასაჭირი

კიზიყიდან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ატყობინებენ: კიზიყში ამ ჟამად ჰკრეფენ მსხვილ ფეხა (ურმის) საქონელს, საქონლის პატრონს ექვსი სულიდან მხოლოდ ერთს უტოვებენ. ამბობენ, საქონელი ომის საჭიროებისათვის მიჰყავთო. საქონლის ფასს იძლევიან, მაგრამ დაფასებისა და საქონლის აწონის საქმე ისეთი ხრიკით სწარმოებს, რომ საქონლის პატრონები პირდაპირ იღუპებიან. დამფასებლად მოიყვანეს სიღნაღელი ყასბები, რომლებიც სარგებლობენ დროით და თავისი „სინდისით“ აფასებენ. მწონელად არის გაკრეჭილი მღვდელი, რომელიც ბევრჯერ დაიჭირეს ერთ სულ საქონელზე 2—3 ფუთის ქურდობაში, მაგრამ ეს შეცდომას მიაწერეს.

ქვემო მაჩხაანის ბოქაული მაგიდასთან ზის და რასაც ყასბები და მწონავი ეტყვის იმას სწერს. ხალხი მეტის მეტ უნუგეშო მდგომარეობაშია, იწერებიან და სთხოვენ საზოგადოებას იღონოს რამე და სამართლიანად მაინც ჩამოართვან ხალხს მარჩენალი საქონელი.

ეროვნული მრეწველობა

ეროვნული მრეწველობა ქართველებს ძლიერ სუსტი გვაქვს, მაგრამ ზოგ ქართულ სამრეწველოს დათვალიერებამ კი გულში იმედი აღმიძრა. მაგ. ავიღოთ ერთი შესანიშნავთაგანი სამრეწველო ქარხანა მ. ლაღიძის და ამხ. ქარხნები თბილისში და ქუთაისში, განსაკუთრებით თბილისში ქარხანა საუცხოვო მოწყობილი აქვს გაუმჯობესებული მანქანები და სხვა. მგონი ასეთი დიდებული ახლად გაუმჯობესებული მანქანებით მოწყობილი ქარხანა არა თუ კავკასიაში, არამედ რუსეთშიაც არ მოიძებნება. მიტომაცაა, რომ ლაღიძეს და ამხ. ქარხნებმა როგორც ქუთაისში, აგრეთვე უფრო მეტად თბილისში დიდი სახელი მოიხვეჭა.

გაუმჯობესებულ მანქანებში განსაკუთრებულ ყურადღებას ორთქლის გამოსაგალი მანქანა იპყრობს, რომელშიაც წყალს, როგორც არაყს ისე ხდიან. ქარხნების პატრონი მიტროფანე ლაღიძე დიდი ენერგიის პატრონი კაცია. ბატ, ლაღიძე შუა ხნის კაცია არავითარ საქველმოქმედო საქმეს უყურადღებოდ არ დასტოვებს. განსთლება უმაღლესი არ მიუღია მაგრამ თავის ნიჭით და გამოცდილებით ბევრი ფირმები დაბალ საფეხურზე დააყენა. მაგ. მგონი თბილისში ათზე მეტი ხილეულ-მადნეულ წყლების ქარხნები ითვლება, მათში პირველი ადგილი ძველ ზემელს ეჭირა, რომელიც ლაღიძის შემდეგ ჩამოყენებულ იქმნა. წარმოებაც რომ დიდებულად აქვს მოწყობილი. ბუჰგალტერიას სულ ქართულად აწარმოებს, საკუთარი ლაბორატორია და მის სპეციალისტი ლაბორანტი. ვისურვოთ, რომ ამგვარი კეთილ-სასურველი მოვლენები ბევრი გვენახოს ჩვენში და სულ მალე ეროვნული მრეწველობაც აყვავდება.

გრიგოლ ზექძელი.

დაბდურა

I

ყველას მიერ აბუჩად აგდებული საბოლოოდ დაბდურად მოინათლა. ყველა დასცინოდა, ყველა მასხარად იგდებდა, მაგრამ მთელს პოლკში მაზე მეტად არავინ უყვარდათ.

— დაბდურა, ხვალ გერმანელები აპირობენ შემოტევას, რას იზამ.

— რას და ყველას შევკრავ და ტყვეებად მოგგვრით.

ტრაბახი დიდი იცოდა, პოლკის აფიცერიც კი მის მოსწრებულ სიტყვებზე იცინოდა და არა ერთხელ უთქვია თავის მამაც ჯარისკაცებისათვის:

— მე რომ ეს დაბრუდა არა მყავდეს, აქნობამდის გერმანელები ბზურას გადმოჰლახავდნენ და ვარშავასაც ხომ აიღებდნენ და აიღებდნენო!

— თვით ვილჰელმს ჩემზე ასი ოქრო დაუნიშნია სასყიდლად, უთქვია ახლა თავის მხრით დაბდურას,—ვინც მე დამატყვევებს და ცოცხლად მიმგვრისი.

სიცილს ასტეხდნენ.

— ნაპრა-ვო! აბა დაბდურ, ნაპრავო რომელია?

შეეკითხებოდა აფიცერი.

დაბდურა სწორეც რომ მობრუნებულიყო, მაინც სიცილს ასტეხდნენ, ეგრე არ არისო. დაბდურა ფრონტს იცვლიდა, შეცდომას მოიყვანდა და ეს კი ახალი აღდგომა იყო ჯარის კაცებისათვის.

— აცა თუ ბერლინი ამან არ აიღოს!—უთქვია უფროსს.

— ჰაი-ჰაი რომ ავიღებ, დიდ ულვაშა ვილჰელმსაც შევბოჭავ და მოგგვრით!

და რომ უფრო მეტად ეცინებინა მეგობრები, ლამიტოპიასავით მოჰყვებოდა ფეხის დგმას და თან მაშინალურად იძახოდა:

— ას—დვა ას—დვა, ას—დვა!

შემდეგ მოტრიალდებოდა:

— ნაპრავა და ნაპლეჩა... ას—დვა —ას—დვა—ას დვა!..

II

ჰაეროპლანებმა მოუხშირეს ფრენა. ჯარისკაცები პოზიციებზე გაწვნენ, თხრილებს ჩააკვდნენ. თავები ოდნავ ამოეყოთ. მოელოდნენ მტრის იერიშს. იცოდნენ, როცა ასე ფრენას ასტეხდნენ, კარგი რამ არ დაეურებოდათ. მართლაც [illegible] ლილი მფრინავნი [illegible] სადღაც თუ არა, ასტყდა საშინელი სროლა. აქედანაც გასცეს პასუხი. მიწამ ზანზარი დაიწყო.

— მოვლენ?

— გვაშინებენ თორემ, ვერ გაბედავენ.

— არა, რამდენჯერ გაგვილალნია. ეხლაც იმავე დღეს ვაყრით.

— წელამდე ჰაობში რომ გადავგრეკეს, მერე დედა ვერ ვუტირეთ თუ...

გამოეხმაურა თავის მხრით დაბდურა.

ყველამ სიცილი ასტეხა.

— ჰო, შენმა მზემ, სწორედ შენ გაჰლალე უკან...

დაავიწყდათ, რომ ხუმბრობის დრო არ იყო. მიწამ ზანზარს უმატა, ისე მოსჩანდა, თითქოს ზარბაზანთა გრიალზე მაზურკას უვლისო. აგერ შავი წერტილებიც წამოიშალნენ. მწკრივმწკრივად გამოქანდნენ. აქედან ტყვიის მფრქვნეველები ააკაკუნეს.

— ტაკ-ტაკ-ტაკ... ტაკ-ტაკ-ტაკ...

გაისმოდა აქეთ-იქით მათი კაკუნი, რასაც ერთბაში თოფის სროლა უნდა მოჰყოლოდა ხოლმე.

მთელი ველი დახოცილ მოიერიშეთაგან დაიქსელა, მაგრამ მაინც მოდიოდნენ და მოდიოდნენ, თითქოს დედამიწამ პირი მოხსნა და ჯადოსნურ ორმოდან უშვებს მტრის ურთვალავ რაზმებსაო. იხოცებოდნენ, მაგრამ აქეთაც კარგ დღეს არ აყრიდნენ. მებრძოლ ლომთა საფარი ნანგრევებად აქციეს. ადამიანის ნაფლეთები, სისხლი და ტალახი ერთმანეთში აირია.

— აბა იერიში!

დაიძახა უფროსმა. მაგრამ იერიშისთვის ვის ეცალა. ტყვია წვიმასავით მოდიოდა. უფროსს უნდოდა მარჯვე მანევრები მოეხდინა, იერიშით ჰკვეთებოდა ერთი ნაწილით, რომ მეორე ნაწილი მაინც გადაენარჩუნებინა სრულს დაღუპვისაგან. მაგრამ არავინ არ იძვროდა. შეჰკრთა. შესაძლებელი იყო მტერს შემოევლო და ყველანი დაეტყვევებინა.

— აბა მომყეთ...

დაიძახა ამ დროს ერთმა ჯარისკაცმა. მიიხედეს. გაოცდნენ.

— შეხეთ, დაბდურა რა ამბავშია!

მართლაც დაბდურა საფრიდან ამოსულიყო და სიცილ-ხითხითით დოლსა სცემდა და თან სცეკვავდა. მის დანახვაზე ყველამ გული მოიცა. წამოიშალნენ და ვეფხსავით გაიჭრნენ. სტიქია-სტიქიას დაეჯახა. ადამიანთა გვამების კედელს ადამიანებივე ჰქელავდნენ და სისხლის რუს მუხლამდე მიარღვევდენ. აი, დაღამდა, მაგრამ გატეხა ჯერ კიდევ შორსაა. მოდიან... შეუჩერებლივ მოდიან... ბევრი ვაჟკაცი დაიკარგა სულით-ხორცამდე. დაბდურაც დაიჭირა, მაგრამ მისი წაქცევა არავის შეუნიშნია. გაოგნებულნი მებრძოლნი თითქოს ერთმანეთის კბილით დასაგლეჯად მიჰქრი-მოქროდნენ და იცელებოდნენ.

როდის, როდის ორთავე მხარეს შეეტყო რყევა. ნელ-ნელ სროლას უკლეს. ნიშნები მისცეს უკან დახევისა. შეღამდა. მთვარის ამოსვლამდე ზარბაზნებმა თითქოს გული მოიოხეს და მთლად მიყუჩდნენ. შესწყდა უგნური მძვინვარება. ბრძოლის ველს მხოლოდ დაჭრილთა ჯოჯოხეთური კვნესა ლა ათრთოლებდა.

III

სანიტართა რაზმი ვერ ჰბედავდა გამოსვლას. მდგომარეობა ორჭოფი იყო. შესაძლებელი იყო მტერს იერიში განეახლებინა. ველზე კი დაჭრილნი კვნესას განაგრძობდნენ. ეს იყო გმინვის საშინელი ველი. დაბდურა გადაეთელნათ. მისი შუაზე გამსკდარი დოლი იქვე ეგდო. ერთ სანგრის ნანგრევს ამოჰფარებოდა, საცოდავად მიყუჟულიყო, რომ ამდგარიყო, მოესაზრნა, თუ სად იყო, ან საით იქნებოდნენ მისი ამხანაგები. დაჭრილთა კვნესა ისმოდა, მაგრამ არავის ეხმარებოდა, რადგანაც არ იცოდა, მკვნესარე თავისიანი იყო თუ მტრისა.

აი, მიწყნარდა ყოვლისფერი. სავსე მთვარე ავადმყოფური ღიმილით ამოსცურდა. დაბდურამ იმარჯვა, ბედსა ვცდი,ამხანაგებს დავუბრუნდებიო. ნელნელ წამოიწია. შეჩერდა. ყური მიუგდო. შემდეგ აიზუზა. ის-ის იყო სანგრის ნანგრევიდან ამოჰყო თავი, რომ მეორე მხრიდანაც უცნობმა სახემ შემოანათა თვალი. ერთმანეთის დანახვაზე ორთავემ თავი ჩაჰყვეს და ჩაიმალნენ, როგორც ეს იცის ზღარბმა, როცა ცივ წყალს მოახვედრებენ. ორიოდწუთს შემდეგ დაბდურამ კვლავ სცადა ბედი.

— ნეტა ვინ იქნება?

ჰფიქრობდა გულში. მაგრამ წამოყელყელდა თუ არა, მეორე მხრის აჩრდილმაც წამოიწია—იგივე სცენა განმეორდა. ბოლოს გადასწყვიტა, გამოეხმაურებოდა. თოფს დასწვდა. კონდახით მოიმარჯვა.

— შენ, ვინა ხარ?

დაუჭყივლა, როცა ერთმანეთს თვალები შეანათეს. უცნობმა ხელები ასწია. მთვარის შუქზე აშკარად მოსჩანდა მისი გაფითრებული სახე.

— აჰა, გერმანა ხარ?..

გული მოიცა. თოფი მიაგდო და ხელ და ხელ უცნობს ეწვია. აწეული ხელები დააშვებინა. უცნობი დაჯდა. დაბდურა გვერძე მოუჯდა.

— კოზაკ?

როდის, როდის გაეხმაურა უცნობი.

— ნიატ,—უპასუხა დაბდურამ.

— რუსკი?

— ნიატ.

— კავკაზუცკი?

ამ ჩიქორთულ რუსულს კი ველარ მიხვდა დაბდურა.

— ია, ნემიც, შვაბერ მორის-ფრიც...

ვერც ეს გაიგო დაბდურამ. ახლა ნიშნებით ლაპარაკი გაიმართა. უცნობმა ჭრილობაზე მიუთითა და ანიშნა, მოიტა შეგიხვიოო. თანაც ჩანთა გახსნა და საჭირო ნივთები ამოჰკრიფა.

დაბდურას გაუხარდა ასეთი მეგობრის შოვნა. მზრუნველობით შეხვეული ფეხი რომ დაანახა, მზად იყო ეკოცნა მისთვის, ვისაც ორიოდ საათის წინ დასაგლეჯად არ დაჰზოგავდა. შემდეგ მოხარშული კარტოფილი შესთავაზა. მან ხომ სულ ერთიანად დაავიწყა შური დ მტრობა. მხოლოდ სასმელზე დაიწყო უარობა, შეეშინდა, იქნებ გაბრიყვება უნდა ჩემიო, მაგრამ ფრიცმა რომ პირველად თითონ დალია და საშიში არა დაინახა რა, დაბდურამაც დაალო და კახურსავით გამოსცალა კაკა.

— ახ, ერთი ჩვენში შეგხვდებოდე და მე ვიცი შენი,—სთქვა ყუათ მოცემულმა დაბდურამ და მხოლოდ იმასაღა სწუხდა, რომ უძლური იყო თავის გრძნობნი გადაეცა უცნობისათვის.

ამასობაში ალიონმაც ფრთა ჰკრა. დაბდურა და ფრიცი მხოლოდ ეხლა მოვიდნენ გონსა, რომ თავ-თავიანთ ბანაკს უნდა დაჰბრუნებოდნენ. წამოდგომისათანავე ფრიცმა ანიშნა, აქეთ წავიდეთ ჩვენებთანაო, დაბდურამ კი თავის მხრით დაუწყო წევა, არა აქეთა სჯობიანო. იქით ფრიცი და აქეთ დაბდურა. ბოლოს დაბდურამ წაავლო ხელი და თავისკენ გადმოჰხარა.

— წამომყე ერთი და...

ორთავე აკონჭილდნენ. დაბდურამ არ იცოდა, თუ სწორე გზით მიდიოდა. ალღოს ენდო, უსათუოდ აქეთკენ წავიდოდნენ ჩვენებიო.

IV

შებერტყილი ჯარისკაცები სანგრებში უთავბოლოდ მიყრილიყვნენ და ისვენებდნენ. ანგარიშობდნენ, თუ რა ზარალი მოუვიდათ, ანდა ამ ზარალმა რა ნაყოფი მოიტანა. დანაკლისთა შორის დაღუპულად სთვლიდნენ დაბდურასაც.

— საცოდავი,—იძახდნენ დანანებით აქეთ-იქიდან,—დაბდურა იყო, მაგრამ მაინც კარგი იყო.

— უნდა უსათუოდ ვიპოვოთ და კარგა დავმარხოთ.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ ერთმა სანგრიდან ველზე გაიხედა.

— ბიჭოს, ვერა ჰხედავთ, დაბდურა მოდის...

ყველანი წამოიშალნენ.

— დაბდურა... დაბდურა...

გაუხარდათ.

— ე ვილას მოათრევს?

იკითხა ერთმა.

— რაზე დამენაძლევეთ, გერმანელი მოჰყავს.

— ბიჭოს... დაბდურამ გვაჯობა, ბრძოლის ველიდან ტყვით დაბრუნდა...

სიხარულით ცას შესწვდნენ.

— ბიჭო, შენა ხარ...

— მე ვარ... მე...

გადაჰკოცნეს. ფრიცი კანკალმა აიტანა. ასე ეგონა, ეხლავე გამატყავებენ ამ უცნაურ ენაზე მოლაპარაკე ქაჯებიო.

— ე ვილა ახმახი აგითრევია?

— ჩემი ტყვეა... მაშ რა გეგონათ?

სიცილი მორთეს. ფრიცს გარშემო ეხვივნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ.

— ეგ ერთი და სხვა ათასი!

სთქვა ერთმა.

— ეგ რაა,—სთქვა ამაყად დაბდურამ,—ზოგი მაშინ მიყურეთ, როცა ვილჰელმს მოგიყვანთ.

ხელახლად სიცილი ასტყდა. ამასობაში უფროსმაც გაიგო ეს ამბავი და ფრიად განიხარა.

— ჩემო დაბდურ, თუ შენ არა, ომს წავაგებდი,—უთხრა სიცილით,—ხუმრობა გაშვებით, შენ ისეთ დროს გამოიჩინე ვაჟკაცობა, რომ... მაგრამ დოლი რაღა უყა?

— გამიტყდა, ბატონო...

— უკვეთეს მოგცემ როცა გიორგის ჯვარს გაგარტყავ... Ну! აბა ნაპრავო რომელია?

დაბდურა გამოიჭიმა და მარცხნივ მოტრიალდა. კვლავ სიცილი დაატეხეს.

— შენ და შენ თავსა! ბერლინს ისე აიღებ, რომ „ნაპრავო-ნალევოსგან" ვერ გამოგარჩევინებ!

განკარგულება გასცა დაბდურასთვის კარგა მოევლოთ და ლაზარეთში გაეწერათ. ფრიცი მიხვდა, დაბდურას გამაშორებენო, აცრემლდა. მთარგმნელს მოუხმეს.

— რა ამბავია?

— მე გთხოვდით... აი მაგას... ე მაგ კაცს არ დამაშოროთ... ეგ ისე კარგია, რომ...

წარმოიდგინეთ, დაბდურამაც, ვიდრე მის სურვილს გადასთარგმნიდნენ, აიხირა, ეგეც ჩემთან დააწვინეთ, სიკვდილს გადამარჩინა, მაგან მომიარა, თორემ სისხლით დავიცლებოდიო.

დაბდურასაც და ფრიცსაც თხოვნა აუსრულეს: ორთავე ერთს ლაზარეთში მოაქციეს.

V

ათიოდე დღე ერთად იწვნენ დაბდურა და ფრიცი და ძალიანაც შეიტკბეს ერთმანეთი. ფრიცმა განსაკუთრებული დღიურიც კი გაიჩინა. მეტწილად მაზე სწერდა, სცდილობდა, როგორმე ესიასოვნებინა მისთვის, მაგრამ უენობა უშლიდა, დიდად აღონებდა. ხოლო როცა ორი კვირის შემდეგ მოხდა ისე, რომ ჯარს უკან უნდა დაეხია და საველე ლაზარეთიც დაეცალათ, რათა დაჭრილები სხვა დ სხვა გზით გაემგზავრებინათ, ფრიცის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა და თვალ-ცრემლიანმა თავის დღიურში აღნიშნა:

„ეს დღე ჩემთვის სასოწარკვეთილების დღეა, მომაშორეს იმ ადამიანს, რომელსაც სულით და გულით შევეწყე, ვინც რომ სიკვდილს გადამარჩინა და მომავალ სიცოცხლეს მპირდებოდაო".

დაბდურას მალე გიორგის ჯვარი გააკრეს, მაგრამ მას ეს ამბავი ისე არ ახარებდა, როგორც ის გარემოება, რომ გასაღდა და ბრძოლის ველზე კიდევ შეეძლო დაბრუნება.

დ. კასრაძე.

მკითხველის შენიშვნა

ამ სამი წლის წინედ, ჩვენ გაზეთებში სწერდნენ სამების*) (გარე კახეთი) მონასტრის უმწეო მდგომარეობაზე. ერთხან არქ. ნაზარიმ ითავა მისი შეკეთება და შემოწირულებაც კი გამართა. ეხლა კი ტაძარი უფრო საშინელ და უბედურ მდგომარეობაში იმყოფება; მხატვრობა ფუჭდება და წვიმისგან ირეცხება. ჩვენ, როგორც დაინტერესებულთ მისი მდგომარეობით, გვსურს ვიცოდეთ, კეთდება რამე მის საკეთილდღეოდ თუ არა, თუ დიდხანს იქნება მიტოვებული ეს ძვირფასი ნაშთი, რომელიც მთელი 15 საუკუნე საშინელ პირობებში იტანდა მტრის აოხრებას და ახლა კი ჩვენი დაუდევრობით ასე „იავარ-ქმნილა?"

ივ. ს—ური.

პროვინციის ქრონიკა

ბელაგორი.

ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობის მორიგი საზოგადო კრება დანიშნულია 7 თებერვალს.

ამბროლაური (ქვემო რაჭა).

მთავრობას განუზრახავს ამბროლაურში უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლის დაარსება. მოწერილობაც მოვიდა განაჩენის დასადგენად.

ს. მაღრანი (თელავის მაზ.)

ხუთი შეიარაღებული უცნობი თავს დაეცა ვაჭარს იოსებ ტყავაძეს და წაართვეს 19 მან. ფულად და სხვა საქონელი 130 მანეთისა.

აკეთი (გურია).

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ქურდობა. საჭიროა ამის წინააღმდეგ ზომების მიღება.

ს. ფიჩხისჯვარი (ასკანის მხარე).

აქ არსებობს ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც დიდ სამსახურს უწევს მოზარდ თაობას, მაგრამ ეს სასწავლებელი არ ჰყოფნით, ბევრი სკოლის გარედ რჩება, საჭირო არის შენობის გადიდება და სწავლის გაფართოება.

აქ გახსნეს კოოპერატიული სავაჭრო. ფიჩხისჯვარელებს არ აქვთ სამკითხველო.

ს. საზანო (შორაპნის მაზ.)

საშინელი სიძვირეა სანოვაგისა. განზრახული აქვთ გახსნან კოოპერატიული დუქანი.

თეატრის ქრონიკა

თბილისი.

დღეს დილით **სახალხო სახლში** თბილ. მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი მიხ. კავსაძის ლოტბარობით მართავს 4 განყოფილებიან სახალხო კონცერტს.

—

დღეს „**ნაძალადევის**" თეატრში ა. გოგაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება „ფული და ხარისხი".

—

დღეს დილით **არტისტიულ საზოგადოებაში** მოწაფეებისთვის წარმოადგენენ გოგოლის „რევიზორ"-ს.

— საღამოთი ორი მხიარული კომედია ძველი რეპერტუარიდან „მომღერალი ბაბინეთი" და „თეატრი ვაჰარ კალაშნიკოვისა". მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

ქუთაისი.

ადგილობრივ ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ გადასწყვიტა სადღესასწაულო წარმოდგენა გაუმართოს დამსახურებულ მსახიობ ქალს ელ. ჩერქეზიშვილს. წარმოდგენა გაიმართება 7 თებერვალს.

— ქართულ დრამატ. ამხანაგობამ კვირას, 24 იანვას, წარმოადგინა „ქეთევან წამებული". წარმოდგენას აუარებელი საზოგადოება დაესწრო.

ს ა ჩ ხ ე რ ე.

კაი ხანია, რაც აქ დაარსდა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ჰმართავს ქართულ წარმოდგენებს. დღემდინ ყოფილ წარმოდგენის შემოსავლის 40 პროცენტი ადგილობრივ აკაკის სახელობის სამკითხველოს სასარგებლოდ მიდიოდა.

მაჰმადიანთა ცხოვრება

— ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა გამოქცეულთა მზრუნველ კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი თამამშევი და ყარსის მაჰმადიანთა მზრუნველი ექიმი სულთანოვი, რომელნიც დაათვალიერებენ ყველა გამოქცეულ მაჰმადიანებს.

— იგდირიდან ატყობინებენ გაზეთ „კასპს": გამოქცეულებს უკვე დაურიგდათ 6 ვაგონი ფქვილი რომელიც ბაქოს მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოებამ გამოუგზავნა. საზოგადოებას აღუთქვამს ამ მოკლე ხანში კიდე 4 ვაგონი.

— ერევნის მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოებამ იგდირში მყოფ გამოქცეულ მაჰმადიანებს გაუგზავნა 1490 მანეთი. საზოგადოებამ გადასწყვიტა აგრეთვე გაუგზავნოს თბილეულობა და ფქვილი ბაიაზეთის მხარეს, სადაც დიდი გაჭირვებაა.

— ყარსიდან მოუვიდა თხოვნა ბაქოს მომხმარებელ საზოგადოებას, მიიღოს საზოგადოებამ თავის მფარველობის ქვეშ 30 გამოქცეული. საზოგადოებამ იკისრა ეს საქმე.

ჯარის კაცის შეწირულება.

ქალაქ ათობის ვაჭარი სულეიმანახმედ-ოღლი ჯარში გაიწვიეს. მას წასვლის წინ ანდერძი დაუტოვებია: თუ ომიდან სამშობლოში ცოცხალი ვერ დავბრუნდი, მთელი ჩემი ქონება. 400 მანეთი ნაღდი ფული და სამასი მანეთი ნისია, (სულ 700 მანეთი) ჩემს სამშობლო სოფელ ხვალინის მაზრის ატლაშის საქალებო სკოლისათვის შემიწირავსო.

სულეიმან-ეფენდი ს. ატლაშადან აქთობის 60 კ. ჩასულა და თავისი მხნეობითა და გარჯილობით 1000 მანეთამდე შეუძენია და შემდეგ მამულისა და ვაჭრობის პატრონიც გამხდარა.

სომეხთა ცხოვრება

„ჰორიზონის" სიტყვით, განჯის მაზრის 8 სოფელში ამ ჟამად 1.084 გადმოხიზნულია ამათში 202 აისორია. ქალაქების კავშირმა ორი საავადმყოფო გახსნა. გადმოხიზნულებისთვის აბანოებსაც ჰმართავენ.

სომხურმა მთავარმა კომიტეტმა ქალაქების კავშირის კავკასიის განყოფილებას აცნობა: შემოხიზნულთა შვილებისთვის თბილისში სულ ექვსი თავშესაფარია. ამ თავშესაფარში მოთავსებულია 700 ბავშვი. (ს. გ.)

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველოს" 23 ნომერში ახალ ამბავში მოთავსებულია შემდეგი: გუშინ ასი ვაგონი შეშა მოვიდა და დასცალეს. დაუცლელიც არის 130 ვაგონი სადგურზე. შეშის პატრონები არ მოდიან მისაღებლად. - ალბად ხელოვნურად კრიზისის შექმნას აპირებენ ქალაქში და სხვ. ხელოვნურს კრიზისს ისეთ საქონელზე აქვს ადგილი, რომლის გადამალვა შეიძლება, მაგრამ შეშა, რომელიც თვითეული ვაგონი 1000 ფუთია, სად უნდა გადამალონ. მართალია თავის დროზე შეშას ვერ ზიდვენ სადგურიდან საწყობებში, რისთვისაც რკინის გზის მართველობა აჯარიმებს შეშის მიმღებთ სამ კეცათ. ამის უმთავრესი მიზეზია სიმცირე ცხენებისა, ფურგუნებისა, დროგებისა და მუშა ხელისა. ცხენების მობილიზაცია თბილისში ორჯელ იყო, რაც კი სავარგისი ცხენი იყო ჯარის საჭიროებისათვის წაიყვანეს.

შეშით მოვაჭრე **ნ. ჭრელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.
ბათომისკენ	სამგ. მ.	9	8.53 საღ.
„	საფ. „	3	9.58 დილ.
ხაშურისკენ	სამგ. „	19-20	3.20 ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი „	4	10.20 საღ.
„	ჩქარი „	6	12.8 დღის
„	სამგ. „	8	11.13 ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	11.13 ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ. მ.	4	9.30 საღ.
„	სამგ. „	10	9.51 დილ.
ბაქოდან	საფ. „	3	9.3 დილ.
„	ჩქარი „	5	7.41 საღ.
„	სამგ. „	7	1.42 ნაშ.
ხაშურიდან	სამგ. „	19-20	7.25 დილ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	8.8 დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან	10	42 „	„
იორიდან	11	35 „	„
საგარეჯოდან	12 „	17 „	„
ბადიაურიდან	1 „	15	დღის
მელაანიდან	2 „	37 „	„
გურჯაანიდან	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან	4 „	58 „	„
თელავში მიდის	5 „	35 „	„
გურჯაანიდან	4 „	18 „	„
კარდენახიდან	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ

თელავიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	45 „	„
გურჯაანიდან	10 „	46 „	„
მელაანიდან	12 „	02 „	„
ბადიაურიდან	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან	2 „	15 „	„
იორიდან	2 „	53 „	„
ვაზიანიდან	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	46 „	„
გურჯაანში მიდის	10 „	16 „	„

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის 23 ნომერში დასტამბულია კორესპოდენცია აკეთიდან (გურია), რომელსაც ხელს აწერს ვინმე **ჭანჭათელი.** რადგან ამ ფსევდონიმით რამოდენიმე წერილი მე მქონდა მოთავსებული გაზეთებში, ამიტომ შეიძლება ზოგს ეს წერილი ჩემი ეგონოს. წერილი მე არ მეკუთვნის.

აპ. წულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა რ ე ვ ი

მეზღვაურის სამოსი

ამ ბოლო დროს შეერთებულ შტატებში გამოუგონიათ ახალი ტანისამოსი წყალ-ქვეშ მცურავ მეზღვაურთათვის. ეს სამოსი წინანდელიდგან იმით განსხვავდება, რომ ლითონისაა და შიგ მყოფს წყლის სიმძიმე ვერაფერს აკლებს. კაცს შეუძლიან 300 ფუტის სიღრმეზე წყალში ჩავიდეს, მაშინ, როცა წინად 200 ფუტამდე ძლივს აღწევდნენ, ამ სამოსში მუდამ სუფთა ჰაერია, რადგან საქაჩავს ამუშავებენ. ზღვის ძირიდან რაიმე ნივთი თუ საგნის ამოსაღებად ამ სამასის თვითო სახელურს თორმეტი რკინის ფრჩხილებიანი თითი აქვს. რასაც მოჰკიდებს, ისე მოუჭერს, რომ ძნელად თუ გაუშვა. წინად ნიშანს თოკით აძლევდა. ეხლა მეზღვაურს ტელეფონი აქვს მოწყობილი.

ტანისამოსი 20 ფუთს იწონის და ნაწილ-ნაწილ იშლება.

თავთან მაგარი მინები უსხდეს, ასე რომ მეზღვაური ყველაფერს ჰხედავს, რაც წყალში მის გარშემო ჰხდება.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

---

*) სამება, უწინ განთქმული დაბა, კაწარეთი, იყო მეტოქე, უჯარმისა, მცხეთისა, კასპისა და სხ. ნინომ აქ მოიტანა ჯვარი და მის ალაგას იქმნა აღშენებული ტაძარი. იგი შეადგენდა ეპარქიას. მისი ეპისკოპოსი იყო იოსებ სამებელი, რომელმაც ვახტანგ მე-VI-ესთან ერთად გახსნა მოსკოვში ქართული სტამბა.

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოხნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ჯან-გატეხილ და დასუსტებულ

ავადმყოფებს

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმძავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეზი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნოებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით დ როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექიმთან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭვდით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.
2. გაარჯლებულ სუსუნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.
3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უილაჯობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.
4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.
5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.
6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.
7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.
8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჰლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пушкинская № 3 отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.